



ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 16

“ 28 “ თებერვალი 2007 წ

საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის დადგენილ საზღვრებში 20.5 ჰა ფართობზე დიღმის ტყე-პარკის განვითარებისა და აღდგენის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას:

ა) დიღმის ტყე-პარკში დადგენილ საზღვრებში 20.5 ჰა ფართობზე მწკანე საფარის შესანარჩუნებლად და აღსადგენად ლანდშაფტის გეგმის შემუშავება და ამ მიზნით „დენდრო პროექტის“ მომზადება;

ბ) საირიგაციო და სანიაღვრე სისტემის გეგმის შემუშავება და ძოწვობა.

2. დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1^ა).

საკრებულოს თავმჯდომარე



ზაზა ბეგაშვილი